

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2025 წლის 3 დეკემბერი

დაბა სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტისა, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის №1098 და „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604, განკარგულებების შესაბამისად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 24.12.2024, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.151.016390) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბი ზილინაშვილი

დანართი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | | | 2025 წლის გეგმა | | |
|------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 20726.6 | 25468,2 | 6763,8 | 18704,4 | 20917,6 | 6160,2 | 14 757,4 |
| გადასახადები | 12888.2 | 13292,4 | 0,0 | 13292,4 | 12 977,5 | 0,0 | 12 977,5 |
| გრანტები | 3961.6 | 8658,4 | 6763,8 | 1894,6 | 6160,2 | 6160,2 | 0,0 |
| სხვა შემოსავლები | 3876.8 | 3517,4 | 0,0 | 3517,4 | 1 779,9 | 0,0 | 1 779,9 |
| ბარჯები | 9540.3 | 12539.1 | 228.6 | 12310.5 | 12 972,5 | 724,0 | 12248,5 |



| | | | | | | | |
|--|----------------|----------------|---------------|----------------|------------------|-----------------|-----------------|
| შრომის ანაზღაურება | 1821.6 | 2060.0 | 0.0 | 2060.0 | 2470,7 | 0,0 | 2470,7 |
| საქონელი და მომსახურება | 992.7 | 1207.3 | 0.0 | 1207.3 | 1 151.6 | 63.6 | 1 088.0 |
| პროცენტი | 11.7 | 8.0 | 0.0 | 8.0 | 4,5 | 0,0 | 4,5 |
| სუბსიდიები | 5671.5 | 7289.3 | 174.5 | 7114.8 | 7806,1 | 660,4 | 7 145.7 |
| გრანტები | 7.7 | 8.5 | 0.0 | 8.5 | 9,4 | 0,0 | 9,4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 649.8 | 772.7 | 0.0 | 772.7 | 1309,0 | 0,0 | 1309,0 |
| სხვა ხარჯები | 385.5 | 1193.3 | 0.0 | 1193.3 | 221,2 | 0,0 | 221,2 |
| საოპერაციო სალდო | 11186.2 | 12929.1 | 6535.2 | 6393.9 | 7945,1 | 5436,2 | 2508,9 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 7671.0 | 22851.4 | 6991.1 | 15860.3 | 19116,6 | 6906,0 | 12210,6 |
| ზრდა | 7702.8 | 22851.4 | 6991.1 | 15860.3 | 19116,6 | 6906,0 | 12210,6 |
| კლება | 31.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| მთლიანი სალდო | 3515.2 | -9922.3 | -455.9 | -9466.4 | -11171,5 | -1 469.8 | -9 701.7 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 3482.8 | -9955.3 | -455.9 | -9499.4 | -11 204.5 | -1 469.8 | -9 734.7 |
| ზრდა | 3482.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 3482.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 9955.3 | 455.9 | 9499.4 | 11 204.5 | 1 469.8 | 9 734.7 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 9955.3 | 455.9 | 9499.4 | 11 204.5 | 1 469.8 | 9 734.7 |
| ვალდებულებების ცვლილება | -32.4 | -33.0 | 0.0 | -33.0 | -33,0 | 0,0 | -33,0 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | | |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | | |
| კლება | 32.4 | 33.0 | 0.0 | 33.0 | 33,0 | 0,0 | 33,0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | 0,0 | 0,0 |
| 0,0 საშინაო | 32.4 | 33.0 | 0.0 | 33.0 | 33,0 | 0,0 | 33,0 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:



| | | 2024 წლის გეგმა | | | 2025 წლის გეგმა | | |
|--|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 20758.3 | 25468.2 | 6763.8 | 18704.4 | 20917,6 | 6160,2 | 14 757.4 |
| შემოსავლები | 20726.6 | 25468.2 | 6763 | 18704.4 | 20917,6 | 6160,2 | 14 757.4 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფინანსური აქტივების კლება(ნაშთის გარეშე) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| გადასახდელები | 17275.6 | 35423.5 | 7219.7 | 28203.8 | 32122,1 | 7630,0 | 24 492.1 |
| ხარჯები | 9540.3 | 12542.0 | 228.6 | 12313.5 | 12972,5 | 724,0 | 12 248.5 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 7702.8 | 22851.4 | 6991.1 | 15860.3 | 19116,6 | 6906,0 | 12210,6 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 32.4 | 33.0 | 0.0 | 33.0 | 33,0 | 0,0 | 33,0 |
| ნაშთის ცვლილება | 3482.8 | 9922.3 | 455.9 | 9466.4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 20917,6 ათასი ლარის ოდენობით.

| | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | | | 2025 წლის გეგმა | | |
|-------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| დასახელება | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 20726.6 | 25468.2 | 6763.8 | 18704.4 | 20917,6 | 6160,2 | 14 757.4 |



| | | | | | | | |
|------------------|---------|---------|--------|---------|----------|--------|----------|
| გადასახადები | 12888.2 | 13292.4 | 0.0 | 13292.4 | 12 977,5 | 0,0 | 12 977,5 |
| გრანტები | 3961.6 | 8658.4 | 6763.8 | 1894.6 | 6160,2 | 6160,2 | 0,0 |
| სხვა შემოსავლები | 3876.8 | 3517.4 | 0.0 | 3517.4 | 1 779,9 | 0,0 | 1 779,9 |

მუხლი 4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 12 977,5 ლარის ოდენობით.

| დასახელება | კოდი | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | | | 2025 წლის გეგმა | | |
|---|--------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 11 | 12888,2 | 13292.4 | 0.0 | 13292.4 | 12 977,5 | 0,0 | 12 977,5 |
| ქონების გადასახადი | 113 | 7788,8 | 7400.0 | 0.0 | 7400.0 | 5 900,0 | 0,0 | 5 900,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 5254,9 | 5100.0 | 0.0 | 5100.0 | 5 386,0 | 0,0 | 5 386,0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) | 113112 | 1780,3 | 1825.5 | 0.0 | 1825.5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 177,1 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 65,9 | 2.5 | 0.0 | 2.5 | 1,0 | 0,0 | 1,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 510,5 | 470.0 | 0.0 | 470.0 | 510,0 | 0,0 | 510,0 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 11411 | 5099,4 | 5892.4 | 0.0 | 5892.4 | 7 077,5 | 0,0 | 7 077,5 |



მუხლი 5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **6160,2** ათ. ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები | 3961,6 | 8658.4 | 6160,2 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | 28,7 | 0.0 | 0,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 3933,0 | 8658.4 | 6160,2 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 642,8 | 503.6 | 1018,5 |
| სპეციალური ტრანსფერი | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 492,8 | 503.6 | 1018,5 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | 150,0 | 0.0 | 0,0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 3290,1 | 8154.8 | 5141,7 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 2150,6 | 5106.3 | 4355,8 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 362,0 | 362.0 | 362,0 |
| მგფ-ის თანადაფინანსება | 777,5 | 1622.6 | 0.0 |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხა | 0.0 | 940.0 | 0.0 |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | 0.0 | 0.0 | 300.0 |
| რეგიონალური სარეზერვო ფონდი | | | 123,9 |

მუხლი 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები **1 779,9** ათ.ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
| სხვა შემოსავლები | 3876,8 | 3517.4 | 1 779,9 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 807,4 | 634.4 | 819,9 |
| პროცენტები | 335,6 | 214.4 | 384,9 |
| რენტა | 471,9 | 420.0 | 435,0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 159,9 | 200.0 | 80,0 |



| | | | |
|---|---------------|---------------|--------------|
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 312,0 | 220.0 | 355,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 2138,9 | 2090.5 | 99,0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებები | 2118,3 | 2065.7 | 69,0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 11,9 | 10.5 | 9,0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,2 | 0.0 | 0,0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 2024,0 | 2005.0 | 0,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 82,2 | 50.2 | 60,0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 20,6 | 24.8 | 30,0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 20,6 | 24.8 | 30,0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 923,1 | 780.0 | 836,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 7,4 | 12.5 | 25,0 |

მუხლი 7. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **12972,5** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | | | 2025 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | მათ შორის | | | მათ შორის | | |
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 9540,3 | 12539.1 | 228.6 | 12310.5 | 12972,55 | 724,0 | 12 248.5 |
| შრომის ანაზღაურება | 1821,6 | 2060.0 | 0.0 | 2060.0 | 2470,7 | 0,0 | 2470,7 |
| საქონელი და მომსახურება | 992,7 | 1207.3 | 54.1 | 1153.2 | 1 151.6 | 63.6 | 1 088.0 |
| პროცენტი | 11,7 | 8.0 | 0.0 | 8.0 | 4,5 | 0,0 | 4,5 |
| სუბსიდიები | 5671,5 | 7289.3 | 174.5 | 7114.8 | 7806,1 | 660,4 | 7 145.7 |
| გრანტები | 7,7 | 8.5 | 0.0 | 8.5 | 9,4 | 0,0 | 9,4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 649,8 | 772.7 | 0.0 | 772.7 | 1309,0 | 0,0 | 1309,0 |



| | | | | | | | |
|--------------|-------|--------|-----|--------|-------|-----|-------|
| სხვა ხარჯები | 385,5 | 1193,3 | 0,0 | 1193,3 | 221,2 | 0,0 | 221,0 |
|--------------|-------|--------|-----|--------|-------|-----|-------|

მუხლი 8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **19116,6** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ა) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **19116,6** ათასი ლარის ოდენობით.



| | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|--------------|---|-----------------|-----------------|-----------------|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 67,8 | 87.3 | 37,6 |
| 01 01 | საკანონმდებლო და არმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 67,8 | 87.3 | 37,6 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 6562,1 | 22145.5 | 18074,1 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 3709,1 | 8892.6 | 9358,8 |
| 02 01 01 | ახალი გზების მშენებლობა | 3709,1 | 8885.0 | 9358,8 |
| 02 01 02 | გზების მიმდინარე შეკეთება | 0,0 | 7.6 | 0,0 |
| 02 02 | წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 66,1 | 1229.3 | 1172,0 |
| 02 02 01 | სასმელი წყლის მოწყობა ,რეაბილიტაცია | 66,1 | 775.1 | 1 078.5 |
| 02 02 02 | კანალიზაციის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია | 0,0 | 444.2 | 85,0 |
| 02 02 03 | წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-პატრონობა | 0,0 | 10.0 | 8,5 |
| 02 03 | გარე განათება | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| 02 04 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 1898,1 | 7989.7 | 4374,9 |
| 02 04 01 | მშენებლობა, აგარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 1118,6 | 6480.1 | 3631,8 |
| 02 04 02 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა | 294,1 | 604.4 | 743,1 |
| 02 04 03 | დ.სტეფანწმინდის ცენტრალური ნაწილის ურბანული განახლება | 485,4 | 905.2 | 0,0 |
| 02 05 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | 355,3 | 1091.0 | 660,0 |
| 02 06 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 532,8 | 1914.3 | 1949,9 |
| 02 07 | განაშენიანების გეგმა | 0,0 | 0.0 | |
| 02 08 | ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა | 0,7 | 0.6 | 0,0 |
| 02 09 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | 0,0 | 1028.0 | 558,5 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 798,1 | 65.9 | 128,0 |
| 03 01 | დასუფთავების ღონისძიებები | 780,5 | 60.0 | |
| 03 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნაჩენების გატანა | 5,5 | 5.8 | 8,0 |
| 03 03 | ა(ა)იპ „თრუსოს“ დაცული ლანდშაფტის დაცვა“ | 12,1 | 0.1 | 120,0 |
| 03 04 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა | 0,0 | 0.0 | |
| 04 00 | განათლება | 188,2 | 353.5 | 749,9 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 54,2 | 33.6 | 20,0 |
| 04 02 | საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია | 134,0 | 319.9 | 729,9 |



| | | | | |
|--------------|---|---------------|----------------|----------------|
| 04 03 | განათლების ხელშეწყობა | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 86,6 | 193.2 | 123,3 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 17,1 | 167.0 | 103,3 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 0,0 | 160.0 | 80,0 |
| 05 01 02 | ა(ა)იკ ყაზბეგის სპორტის განვითარების ცენტრი | 17,1 | 7.0 | 23,3 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 69,5 | 26.2 | 20,0 |
| 05 02 02 | ა(ა)იკ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრი | 69,5 | 26.2 | 20,0 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| 05 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოც. უზრუნველყოფა | 0,0 | 3.0 | 3.7 |
| 05 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 0,0 | 3.0 | 3.7 |
| 05 02 | მოსახლეობის სოც. უზრუნველყოფა | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| | სულ არაფინანსური აქტივების ზრდა | 7702,8 | 22848.4 | 19116,6 |

ბ) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 31,7 | 0.0 | 0,0 |
| ძირითადი აქტივები | 5,1 | 0.0 | 0,0 |
| მატერიალური მარაგები | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 26,6 | 0.0 | 0,0 |
| მიწა | 0,0 | 0.0 | 0,0 |

მუხლი 9. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| | დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|------|--|-----------------|-----------------|-----------------|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2655.0 | 3283.5 | 3597,6 |
| 7011 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა, | 2655.0 | 3222.8 | 3597,6 |
| | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების | | | |



| | | | | |
|------------|---|---------------|----------------|----------------|
| 70111 | საქმიანობის უზრუნველყოფა | 2655.0 | 3222.8 | 3544,6 |
| 0112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 50.0 | 50,0 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 0.0 | 10.7 | 3,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 6417.9 | 20474.1 | 15467,2 |
| 7045 | ტრანსპორტი | 4018.0 | 9568.0 | 9838,8 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 4018.0 | 9568.0 | 9838,8 |
| 70455 | მისადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0.0 | | 0,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 2399.9 | 10906.1 | 5628,4 |
| 705 | გარემოს დაცვა | 2019.7 | 2269.4 | 2065,6 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 2019.7 | 1825.2 | 1980,6 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 0.0 | 444.2 | 85,0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1081.9 | 3184.2 | 3480,6 |
| 7063 | წყალმომარაგება | 264.6 | 1212.4 | 1494,7 |
| 7064 | გარე განათება | 133.8 | 15.5 | 0,0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 683.5 | 1956.3 | 1985,9 |
| 707 | ჯამრთელობის დაცვა | 100.7 | 177.5 | 190,2 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 100.7 | 177.5 | 190,2 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 2282.3 | 2784.8 | 2883,8 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1089.6 | 1500.8 | 1547,5 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1192.7 | 1234.0 | 1336,3 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 0.0 | 50.0 | 0,0 |
| 709 | განათლება | 1920.4 | 2347.5 | 3013,5 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1724.0 | 1973.5 | 2220,0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 62.4 | 7.4 | 63.6 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 62.4 | 7.4 | 63.6 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 134.0 | 319.9 | 729,9 |
| 710 | სოციალური დაცვა | 797.7 | 902.5 | 1 423.6 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 462.5 | 590.5 | 794,8 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 446.0 | 570.0 | 755,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 16.5 | 20.5 | 39,8 |



| | | | | |
|------|--|----------------|----------------|----------------|
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 325.1 | 275.0 | 470.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა | 10.1 | 37.0 | 158,8 |
| | სულ | 17275.6 | 35423.5 | 32122,1 |

მუხლი 10. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – **11 171.5** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| საოპერაციო სალდო | 11186,2 | 12929.1 | 7945,1 |
| მთლიანი სალდო | 3515,2 | -9922.3 | -11 171.5 |

მუხლი 11. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – **11 204.5** ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 3482,8 | -9955.3 | -11 204.5 |
| ზრდა | 3482,8 | 0.0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 3482,8 | 0.0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 9955.3 | 11 204.5 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 0,0 | 9955.3 | 11 204.5 |

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 33,0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სსიპ-საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტს შორის „მყარი ნარჩენების პროექტთან“ დაკავშირებით 2017 წლის 13 მარტს გაფორმებული პროექტის ქონების გადაცემის შესახებ სასესხო ხელშეკრულება, ყაზბეგის მუნიციპალიტეტისათვის ერთი ცალი კომფაქტორიანი ნაგავშიდი მანქანის და 100 (ასი) ცალი ნარჩენების კონტეინერის გადაცემის შესახებ. ძირითადი თანხა შეადგენს 223337 (ორასოცდასამი ათას სამას ოცდაჩვიდმეტი) ლარს. 2019 წელს გადახდილია 11600 (თერთმეტი ათას ექვსასი) ლარი, 2020 წელს – 18106 (თვრამეტი ათას ას ექვსი) ლარი, 2021 წელს – 46668 (ორმოცდაექვსი ათას ექვსას სამოცდარვა) ლარი, 2022 წელს – 36999 (ოცდათექვსმეტი ათას ცხრას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი, 2023 წელს – 32436 (ოცდათორმეტი ათას ოთხას ოცდათექვსმეტი) ლარი. ხოლო 2024 წელს – 41,0 (ორმოცდაერთი) ათ. ლარი.

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის გეგმა |
|------------|-----------------|-----------------|-----------------|
|------------|-----------------|-----------------|-----------------|



| | | | |
|-------------------------|-------------|-------------|-------------|
| ვალდებულებების ცვლილება | -32,4 | -33,0 | -33,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | | | |
| საგარეო | | | |
| კლება | 32,4 | 33,0 | 33,0 |
| საშინაო | 32,4 | 33,0 | 33,0 |
| საგარეო | 0,0 | | |

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **19 032,8** ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის გეგმა |
|-----------------|--|-----------------|
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 9 373,6 |
| 020101 | ახალი გზების მშენებლობა | 9 358,8 |
| 020102 | გზების მიმდინარე შეკეთება | 14,8 |
| 0202 | წყლის სისტემების განვითარება | 1 579,7 |
| 020201 | სასმელი წყლის მოწყობა, რეაბილიტაცია | 1 078,5 |
| 020202 | კანალიზაციის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია | 85,0 |
| 020203 | წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-პატრონობა | 416,2 |
| 0203 | გარე განათება | 0,0 |
| 020301 | გარე განათების მშენებლობა რეაბილიტაცია | 0,0 |
| 020302 | გარე განათების მოვლა-პატრონობა | 0,0 |
| 0204 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 4 374,9 |
| 020401 | მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია | 3 631,8 |



| | | |
|--------|---|-----------------|
| 020402 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 743.1 |
| 020403 | დაბაში ცენტრალური ნაწილის ურბანული განვითარება | 0,0 |
| 0205 | საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | 660,0 |
| 02 06 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 1 985,9 |
| 02 07 | განაშენიანების გეგმა | 0,0 |
| 02 08 | ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა | 465.2 |
| 02 09 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | 593.5 |
| | ჯამი | 19 032,8 |

| | | | |
|---|---|-------------------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 01 | | 9 373,6 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია სხვადასხვა დასახლებებთან, მათ შორის საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. დაგეგმილია დაბაში გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, შპმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება. ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებების მოწყობა გზებზე და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა ობიექტებთან. | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები | გენდერული | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება | | |

| | | | |
|--------------------------------|---|-------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალი გზების მშენებლობა | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 01 01 | | 9 358,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 1081,7 კმ², მუნიციპალიტეტი მოიცავს ორ დაბასა და 45 სოფელს. მუნიციპალიტეტს მაღალმთიანი დასახლებების სტატუსი აქვს მინიჭებული. საგზაო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი რთული რელიეფის და კლიმატური პირობების გამო მუდმივად საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. დაგეგმილია დაბა სტეფანწმინდაში თბილისის და ყაზბეგის ქუჩების, ასევე სოფლებში : არშაში, გარბანში, ყანოზში, ახალციხეში, აჩხოტში, ხურთისში გორისციხეში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება. სოფლებში: ტყარშეტის, კარკუჩის, სნო-„ბულიეთუბანში“, სიონში, გერგეტში, ალმასიანში საბაგროსთან მისასვლელი გზის, ალმასიანში ეკლესიასთან მისასვლელი და ალმასიანში მინერალური წყლის ქარხანამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, სოფლებში: არშის, ყანოზის, კობათუბნის, გერგეტის, , ვხელშის გზაზე გაბიონების მოწყობა, ყანოზის და ტყარშეტის მისასვლელი გზის დამჭერი კედლის მოწყობა და ა.შ. | | |
| | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა, შეიქმნება ახალი | | |



| | |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული ობიექტები |
|--------------------|---|

| | | | |
|--------------------------------|---|---------------------------|------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გზების მიმდინარე შეკეთება | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 01 02 | | 14,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გზებზე დაყენებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა. | | |

| | | | |
|---|---|--|--|
| პროგრამის დასახელება | კოდი | წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 02 | | 1579,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა ითვალისწინებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას მიეწოდებოდეს სასმელი წყალი; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>-გამართული საკანალიზაციო სისტემები</p> <p>წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გამართული წყალმომარაგება მათ შეუმზებუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათი ჩართულობის ხანგრძლივობა.</p> | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 5 - გენდრული თანასწორობა | მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; |
| | | გენდრული | დიახ |
| მოსალოდნელი შედეგი | გამართული წყალმომარაგების სისტემები. მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. | | |



| | | | |
|--------------------------------|---|---|-----------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია | დაფინანსება |
| | 02 02 01 | | ათას ლარში 1 078,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გათვალისწინებულია სოფლებში :სნოში, ყანობში, გარბანში, ტყარშეტს ერთ უბანში, არშაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია. სოფ. ფანშეტის და სოფ. ახალციხის ჭაბურღილის მოწყობა, დ. სტეფანწმინდაში და სოფ. გერგეტში სანიაღვრეების მოწყობა. სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი. სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გამართული წყალმომარაგების სისტემა . მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნული დასახლებების მაცხოვრებლები უზრუნველყოფილი იქნებიან სასმელი წყლის მიწოდებით. | | |

| | | | |
|--------------------------------|--|---|--------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კანალიზაციის სისტემების მოწყობა- რეაბილიტაცია | დაფინანსება |
| | 02 02 02 | | ათას ლარში 85,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. დაგეგმილია : სოფ. ტყარშეტის საუბნო საკანალიზაციო ქსელის მოწყობა სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი. სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია | | |
| მიღწეული შედეგი | კანალიზაციის მშენებლობა დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლითაც ისარგებლებს 400-მდე ბენეფიციარი. ხელს შეუწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. | | |

| | | | |
|-------------------------|------|---|-------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოვლა-პატრონობა | დაფინანსება |
| | | | ათას ლარში |



| | | |
|---------------------------------------|---|-------|
| | 02 02 03 | 416,2 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყლისა და კანალიზაციის შიდა ქსელის სისტემების მოვლა-პატრონობა. მისი მიზანია სოფლად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება, წყლის მიწოდების რეგულაცია უზნების მიხედვით, რათა ყველა მოსახლემ მიიღოს არსებული გრაფიკით წყალი. გამართული საკანალიზაციო სისტემების უზრუნველყოფა.</p> <p>ხარისხიანი წყლის მიწოდება ამცირებს დაავადებათა რისკებს, სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, რადგან უფრო მეტად სწორედ მათ უწევთ ოჯახის ჰიგიენაზე ზრუნვა.</p> <p>გათვალისწინებულია აგრეთვე გარე განათების მოვლა-პატრონობა, გახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ხარჯი.</p> <p>სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი. სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია</p> | |
| მიღწეული შედეგი | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების ქსელის და გარე განათების გამართული ფუნქციონირება და წარმოქმნილი გაუმართაობების დროულად აღმოფხვრა. | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კეთილმოწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|---|------------------|------------------------|
| | 02 04 | | 4 374,9 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობების, სკვერების და პარკების, აგრეთვე სხვადასხვა კეთილმოწყობით ღონისძიებებს.</p> <p>ღია დასასვენებელი სივრცეები მოეწყობა გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შეიქმნება თანაბარ ხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის.</p> | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | <p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;</p> <p>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p> | გენდერული | ღია |
| მოსალოდნელი შედეგი | კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია. კმაყოფილი მოსახლეობა | | |

| | | |
|--|-------------|-------------------------------|
| | კოდი | დაფინანსება ათას ლარში |
|--|-------------|-------------------------------|



| | | | |
|--------------------------------|---|---|---------|
| ქვეპროგრამის დასახელება | 02 04 01 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 3 631,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია : სოფელ არშაში სპორტული კომპლექსის მშენებლობა. მოხდება პროექტის ფარგლებში ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მის ადგილზე სამსართულიანი სპორტკომპლექსის მშენებლობა, სადაც განთავსდება ჭიდაობის დარბაზი სარბენი ბილიკებით,საცურაო აუზი,ფიტნეს დარბაზი,მასაჟის ოთახი,ჭიდაობის, კრივის ,ტანვარჯიშის , საკონფერენციო დარბაზები. .დასრულდება დაბა სტეფანწმინდაში მრავალფუნქციური შენობა.სახურავი გამოცვლება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობას ალ. ყაზბეგის N29-ში. ასევე დაგეგმილი უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.</p> | | |
| მიღწეული შედეგი | კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია. კმაყოფილი მოსახლეობა. ვიზიტოთა გაზრდილი რაოდენობა. | | |

| | | | |
|--------------------------------|--|-----------------------------------|---------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 02 | | 743,1 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფ.ფანშეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი სივრცის მოწყობა.საპროექტო ადგილზე არსებული ბუნებრივი მინერალური წყალი რეგიონის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, სადაც დაგეგმილია არსებული გარემოს განვითარება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა,ტერიტორიის კეთილმოწყობა იგეგმება ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის გათვალისწინებული მოთხოვნებით, რაც ადგილს უფრო საინტერესოს და მიმზიდველს გახდის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე რეგიონში ჩამოსული ვიზიტორებისათვის. აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია საცურაო აუზების, სპორტული მიწის მოედნების, სარეკრეაციო სივრცეებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ფუნქციებით დატვირთული სხვადასხვა სივრცეების მოწყობა.დასრულდება 112-ის სკვერის და სიონის მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები</p> | | |
| მოსალოდნელი შედეგი | <p>-მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;</p> <p>-გაუმჯობესებული ეკოლოგიური გარემო;</p> <p>-მოსახლეობის უსაფრთხოება.</p> | | |

| | | | |
|----------------------|-------|--|---------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 05 | | 660,0 |



| | | | |
|---|--|-------------------------|------------|
| <p>პროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</p> | | |
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის(საექსპერტო მომსახურების)სამუშაოების შესყიდვა.პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით .საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p> | | |
| <p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p> | <p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;</p> | <p>გენდერული</p> | <p>არა</p> |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადებულია; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს).</p> | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| <p>პროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი 02 06</p> | <p>სოფლის პროგრამის მხარდაჭერა</p> | <p>დაფინანსება ათას ლარში 1985.9</p> |
| <p>პროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური</p> | | |
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: დაბა სტეფანწმინდის, სოფლებში: ფანშეტის, აჩხოტის და ტყარშეტის სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაცია. ასევე, დაგეგმილია სოფ. აჩხოტში წყალსაქარის მიერ გახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების შესყიდვა.</p> <p>აგრეთვე, რაიონის სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებულია -362,0 ათ.ლარი, რომელიც გამოყოფილი იქნა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის #53 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“. ასევე 389,8 ათ.ლარი 2025 წლის 1/1-სათვის არსებული ტრანსფერის ნაშთიდან. (საქ. მთავრობის 15/02/2022 წლის #277, 29/12/2022 წლის #2476, 28/12/2023 წლის #2401 განკარგულებებით დარჩენილი თანხები).გათვალისწინებულია თანადაფინანსებაც.</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია სოფლების: გორისციხის ,ფანშეტის,გარბნის და ვარდისუბნის სარიტუალო დარბაზების რეაბილიტაცია.სოფ. ყანობამდე მისასვლელ გზაზე გარე განათების მოწყობა,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა, და ა. შ.</p> <p>ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.</p> | | |
| <p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p> | <p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;</p> | <p>გენდერული</p> | <p>არა</p> |



| | |
|--------------------|--|
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება |
|--------------------|--|

| | | | |
|---|--|--|------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვა | დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 08 | | 465,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა) იპ „ყაზბეგის კეთილმოწყობის სამსახური“ | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არსებულ ეტაპზე ა(ა) იპ „ყაზბეგის კეთილმოწყობის სამსახური“-ის ავტოპარკის ბალანსზე არის 9 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და 6 ერთეული ტექნიკა. მათ შორის ერთი ავტობუსი და 4 მიკროავტობუსი, რომლებიც ემსახურებიან რაიონის 14 სოფელს. ა(ა)იპ „კეთილმოწყობა“ უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის მოვლა-პატრონობას. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისა და მუნიციპალური სერვისების შეუფერხებელი მომსახურების უზრუნველყოფა.</p> | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | ტრანსპორტი მუშაობს გამართულად, რეისები ხორციელდება შეფერხების გარეშე და უზრუნველყოფილია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა. | | |

| | | | |
|--------------------------------|---|--|--------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარებში |
| | 02 09 | | 593,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.შემცირდება სტიქიით მიყენებული ზარალის საფრთხე, განხორციელდება დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია. პროგრამით გათვალისწინებულია სტიქიის დროს დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა, კერძოდ თრუსომი ხიდის მშენებლობის დასრულება</p> <p>სოფ. არშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია თანხით-100.0 ათ. ლარი.სოფ. გორისციხის წყლის სისტემის რეაბილიტაცია</p> | | |
| მიღწეული შედეგი | დროულად აღმოფხვრილი სტიქიური მოვლენების შედეგები.მგზავრთა კომფორტული უსაფრთხო გადაადგილება.მგზავრობის დროის შემცირება. | | |



მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1980,6 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------|--|----------------------------------|
| 0300 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1980,6 |
| 03 01 | დასუფთავების ღონისძიებები | 37,5 |
| 03 02 | მუნიციპალური ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1349,2 |
| 03 03 | ა(ა)პ თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი | 593,9 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | დასუფთავების ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---------------------------|------------------------|
| | 03 01 | | 37,5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხის დაფარვა 28 აპრილსა და 28 ოქტომბერს (ხელშეკრულება № 52) ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის პროექტი ქონების გადაცემის შესახებ „ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ შესაბამისად, გადასახდელი ძირი -33,0 ათ.ლარი და დარიცხული საპროცენტო თანხა-4,5 ათ.ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.</p> | | |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება | გენდერული | არა |
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ყაზბეგის რაიონის ვალდებულებების დაფარვა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნაჩენების გატანა | დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|--|--|------------------------|
| | 03 02 | | 1349,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)პ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის“ სამსახური | | |



| | | | |
|---|--|-------------------------|------------|
| <p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" ახორციელებს დაბისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებას. ქვე</p> <p>პროგრამა მოიცავს აგრეთვე დ.სტეფანწმინდაში სასაფლაოების და მისი ტერიტორიის მოვლა-პატრონობას, ზამთრის სეზონზე მუნიციპალური გზების გაწმენდას თოვლის საფარისგან, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნას. არსებულის სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა. შხამქიმიკატებით ნარგავების შეწამვლა და დამუშავება ხეების გადაბეღვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი. გათვალისწინებულია აგრეთვე მიუსაფარი ცხოველების (მაღლების) ვეტერინარული მომსახურება</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილი პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.</p> | | |
| <p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p> | <p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;</p> <p>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები;</p> <p>მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება</p> | <p>გენდერული</p> | <p>არა</p> |
| <p>მოსალოდნელი შედეგი</p> | <p>მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება დაბა და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.</p> | | |

| | | | |
|---|---|--|--|
| <p>ქვეპროგრამის დასახელება</p> | <p>კოდი</p> <p>03 03</p> | <p>ა(ა)იპ „თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი“</p> | <p>დაფინანსება</p> <p>ათას ლარში</p> <p>593,9</p> |
| <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> | <p>ა(ა)იპ“ თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრის ადმინისტრაცია“</p> | | |
| <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p> | <p>პროგრამის მიზანია: ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიით და კულტურით გამორჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე თრუსოს ხეობის ტერიტორიების დაცვის, აღდგენის და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოს დაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, რეკრეაციულ - ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობა, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.</p> | | |
| <p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p> | <p>მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები</p> | <p>გენდერული</p> | <p>არა</p> |



| | | | |
|---------------------------|---|--|--|
| | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება, კანონით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. | | |

მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3013,5 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2025 წლის დაფინანსება ათ. ლარში |
|-----------------|--|---------------------------------|
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2220,0 |
| 04 02 | საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია | 729,9 |
| 04 03 | განათლების ხელშეწყობა | 63,6 |
| 04 00 | სულ პრიორიტეტი | 3013,5 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | დაფინანსება ათას ლარში |
|----------------------|--|------------------------|
| | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | |
| | 04 01 | 2220,0 |

პროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ - „სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფას და სხვა ღონისძიებების გატარებას.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი. პროგრამის მიზანია:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სრულფასოვანი საღმრთელი გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარული და ფიზიკური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან.

პროგრამის აღწერა და მიზანი



| | | | |
|--|---|------------------|-------------|
| | <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან შშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.</p> | | |
